

„დილა ამ გაზეთის გადართვით დაიწყეთ...“

სსსკ

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

ორშაბათი 14 ივლისი, 2003 წელი

№184 (4563)

საქართველოს რესპუბლიკა



გაზეთი დაარსდა 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს.

ფასი 50 თეთრი.

თვალსაზიარი მალე მავრები წავლენ...

არისტოტელე ამბობდა, ყველაფერს აქვს დასაწყისი, შუა და დასასრული.

ალბათ, ეს ჩვენი გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისი დასრულდება, ბოლოს და ბოლოს.

ყოველ შემთხვევაში, ბაგონ ბეკერის ჩამოსვლამ და მის მიერ წარმოდგენილმა სქემებმა ამ დასასრულის მოახლოების ერთგვარი პირობა შექმნა.

მართალია, ახლა დიდი დავაა, ბეკერისეული „5+1 ფორმულა“ არა ჩემი გონების ნაქურია, არა ჩემი (მრეწველები, ლეიბორისტები, თვით მოქალაქეებიც), მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი შეგნაკლებად მისაღებია უმრავლესობისთვის.

აქ მხოლოდ იმაზეა დავა, 9 როგორ განაწილდეს.

მაგრამ სიყვეა „დავა“ ნაკლებად ასახავს მოვლენათა არსს. საქმე ისაა, რომ შეიძლება ახლა ეს განაწილება იქნეს დამოკლები მახვილად.

ყოველ შემთხვევაში, საქმეს ასეთი პირი უჩანს. თანაც, ეს „პირი“ სულ უფრო და უფრო ფართოდ იღება და მალე ლანძღვა-გინების კორიანტელს გადმოაფრქვევს.

განსაკუთრებით აღორძინება-ჯემალი გოგიტიძე არიან ძალაში: სხვის თანაბარ მდგომარეობაში ყოფნა არ სურთ, ანუ ცესკოში სხვა ოპოზიციური პარტიებივით ერთ წარმომადგენელს არ სურდებიან, გინდა თუ არა, მეტი გვინდაო.


მეტი კი იმ ცხრიდან, სულაც წინაშე რომ გააგარო, არ გამოიწერება. ამიტომ მოგი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ სახელისუფლო 5-დან „გამოუთავისუფლონ“ ერთი ადგილი. ამაზე კი, ალბათ, სახელისუფლო ბლოკი არ დათანხმდება...

ამას წინათ გეღევიზიით ნაციონალი კობა დავითაშვილის გამოსვლა მოვისმინე. მართალი გითხრა, ამ კაცს პრინციპულად არ ვეთანხმები, მაგრამ კარგი რაგომ დაეუკარგო? გამოვიდა და უჩვეულოდ მშვიდად და დალაგებულად ახსნა, ნაციონალები ცესკოში 1 წარმომადგენელზე თანახმა იმიტომ ვართ, რომ თუ წარმომადგენლები ყველას თანაბრად გვეყოლება, სმების პარალელური გადათვლა მოხდება, მანამდე კი ამომრჩეველთა სიები დაზუსტდება და ამ სიების გაკონტროლება იქნება შესაძლებელი, თანაც ცესკოს თავმჯდომარე ეუთოს მიერ დაინიშნება, გაყალბების შესაძლებლობა იმდენად შემცირდება, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ერთი შენიანი გეყოლება თუ ორი, რაღა მნიშვნელობა აქვსო.

მართლაც! ამდენად, თუმცა ბაგონი ბეკერის ჩამოსვლას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ერთგვარი დათობა მოჰყვა, დროის გასვლის კვალდაკვალ, მიღწეული შეთანხმებების ერთგვარი რევიზიაც იქნეს თავს. და, როგორც ვუკვირდები, ეს პროცესი თანდათან ღრმავდება.

იხ. მე-2 გვ.

ვიზონათ ღირსეულ მიოცნასაუკუნელს მზიანი გულის უკვდავება



ღღუს ნოდარ დუმბაძე 75 წლის გახდებოდა...

იხ. მე-4-5-6 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოწვეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია 2003 წლის 16 ივლისიდან.

იღუბარდ შვიპარდნაძე.

რაც თვალს არ გამოეხარა დროშები - სახსურბრბის ფილიალი



თბილისში, მედიქიშვილის ქუჩის №6 სახლის მეორე სართულზე, „სილაბა-მის სალონის“ თავზე, დედაქალაქის საკრებულოს ფილიალი გაიხსნა! უფრო მუსტად, - სახურავის ფილიალი, კიდევ უფრო მუსტად, - დროშების ქაივილი აუტყდა ვიღაცას... აბა, სააკაშვილის დროშების ფრიალს მონაგრებულმა ხალხმა საგანგებოდ თავისუფლების მოედანზე ხომ არ უნდა იაროს?! „მარშრუტკაში“ ფული ხომ არ უნდა დახარჯოს? ახლა ეს ხალხი გულის ხეაშია და აქვე აისრულებს და მადლობას ეტყვის საკრებულოს მოქალაქეთა ოჯახების ბიუჯეტებზე მამობრივი მმრუნელობისათვის.

ღმწან ღრმბაძის ფოტო.

რეგულარული, კვირაში ერთხელ, სახაგრო გეგმით გვირთების კონტინენტებით გადარბობა მარშრუტით: შოთი - ოდესა (ოლიგოვსკი) - შოთი

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია: თბილისი - (995 32) 227223, ფაქსი 221129, Email: barwilt@access.sanet.ge; შოთი - (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86, Email: elglch@barwilpti.com.ge; ოდესა (ოლიგოვსკი) - (380 482) 345912, 346027, ფაქსი 346141, Email: barwilt.odessa@barwil.com; კიევი - (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036, Email: aosadchiy@barwil.kiev.ua.

ინტერპანორამა

შვიდობაში ალბინისტა ჯგუფი უფსკრულში გადაიხეხა. სამი კაცი დაიღუპა. ჯგუფი მწვერვალ სერვანს დაშქრავდა მთაგრეხილ მშვეგრავის რაიონში.



25 ალბინი დაიღუპა და 3 მილიონი უსახლკაროდ დარჩა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში მდინარე ბრაჰმაპუტრისა და მისი შენაკადების აღიდეების გამო. კრიტიკულ ვითარებაშია 20 რაიონი. წყალდიდობის მონაში მოქცეულია 3000 სოფელი.



გამრწმ პაკის-ტანს მოუწოდა და-აბაკიმროს ალ-ყაიდასთან კავშირში ეჭვმიტანილი 17 კაცი. სავარაუდოდ, გერორისგებს აქვთ უცხოური, ძირითადად იტალიური პასპორტები.



ქრამის მმართველი საბჭო თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. საბჭოს შემადგენლობაში მოსახლეობის პროპორციული ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის მისხედვით შედიან: 13 მუსლიმანი შიიტი, 5 სუნიტი, ქრისტიანი და თურქმენი. ამერიკელები ყველა მნიშვნელოვან საკითხში საბჭოს მოეთათობებიან.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის ბანკარგულეობა

2003 წლის 9 ივლისი მ. თბილისი

საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 აპრილის № 131 ბრძანებულებით დამტკიცებული ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის თანახმად:

1. უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით შეუწყვეტო ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილება საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს:

- თამარ ბიჭიკაშვილი;
გია გეჭაძე;
გივი თარგამაძე;
მარიამ თოძუა;
რუსუდან ლორთქიფანიძე;
ლაშა ყვანია.

2. საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუწყვეტოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილება გუბა კვარაცხელიას.

3. საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, წილისყრის შედეგების გათვალისწინებით გაუგრძელდეს საბჭოს წევრის უფლებამოსილება საბჭოს შემდეგ წევრებს:

- მანანა გიგინეიშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი;
გიგი თევზაძე - ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი;
გიორგი ისაკაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;
ნიკა თინათინი - არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციის კვლევითი ცენტრი“ თავმჯდომარე.

4. საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში მოწვეულ იქნენ:

- მურაბ ეზუგბაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
დავით კიკაბაძე - გლეკოშვილი „რუსთავეა-2“-ის ჟურნალისტი;
კონსტანტინე კუბლაშვილი - ჰანოვერის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი;
ლაშა გულუმი - გაზეთ „რემონანსის“ მთავარი რედაქტორი;
მაქარია ქუცნაშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი;
თამარ ჩიქოვანი - რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი;
თინათინ ხიდაშელი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

5. საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ვლადიმერ უგულაძეს გაუგრძელდეს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება.

ილზარად შივარდნაძე.

მშვიდობისაკენ

მე-11 ქართულ-აფხაზური შეხვედრა-დიალოგი გაიმართება

13-20 ივლისს ბერლინში შლაინგის პროცესის ფარგლებში რიგით მე-11 ქართულ-აფხაზური შეხვედრა-დიალოგი იმართება. მხარეები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებს განიხილავენ.

წინა შეხვედრების მსგავსად, მე-11 შეხვედრა-დიალოგი გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია „ბერლინის ცენტრისა“ და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიტის რესურსების“ ინიციატივით და ფინანსური დახმარებით მიმდინარეობს.

ივანე პრემსი.



მთავრობა სრული

შეადგენლობით

დაითხოვს

აპარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტმა დააკამათა ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მიმართ და კვირას გამართულ სხდომაზე მთავრობის მთლიანი შემადგენლობით გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც პრაიმ-ნიუსს აჭარის ავტონომიის მეთაურის პრესამსახურის ხელმძღვანელმა თამაზ ბაკურიძემ აცნობა, აბაშიძემ კონსტიტუციური უფლებით ისარგებლა და 6 თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო, პარლამენტის წინაშე დააყენა მთავრობის უნდობლობის საკითხი.

აღმასრულებელი ხელისუფლების ასალი ხელმძღვანელის მურჩევამდე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ასლან აბაშიძე შეასრულებს.

თბილისი აფხაზეთის სტატუსის საკითხის

დასმას აპირებს

იუსტიციის მინისტრის სოსო მთელი 15 ივლისს დანიშნულ შეხვედრაზე მთელი პრინციპულით დასვამს საკითხს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებით დიალოგის დაწყების შესახებ.

შეხვედრაში, ქართულ-აფხაზური მხარეების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ გავროს გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი პიდი გალიაშვილი და „ტავეროს გენმდივნის საქართველოს მთავრობის ქვეყნების ჯგუფის“ - აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენლები.

როგორც ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა უთხრა, თბილისის შემოსენებზე მოთხოვნა უკვე დაიდო ხანა, ცნობილია აფხაზეთისთვის და საერთაშორისო შუამავლობისთვისაც.

შეიძლება

ბროზნოსთან

თანაშრომლობის

საღვთაშობის

გააფორმოს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ვმზადება, რომ რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის სუბიექტებთან ახლო მომავალში ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს თანამშრომლობის შესახებ.

ეს ხელშეკრულებები ანალოგიური იქნება ცოტა ხნის წინათ, ნალჩიკში ყაბარდო-ბალყარეთთან გაფორმებული დოკუმენტების, რაც თავის მხრივ, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-გეოგრაფიულ და კულტურის სფეროებში თანამშრომლობას ითვალისწინებს, - აცნობა პრაიმ-ნიუსს ცხინვალის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა შურად ჯიოევიამ.

„შესწავლის პროცესშია ჩვენთან, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტთან, ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა“, - თქვა შურად ჯიოევიამ.

ინფორმაცია მოგვარდა პრაიმ-ნიუსმა.

დედაქალაქი

„დეზერტირების“ ბაზრობა სუფთავდება

გუშინ საღამოს დემონსტრაციის ბაზრობა და მიმდებარე ქუჩები გენერალური დასუფთავების მიზნით დაიხსურა.

ეს გადაწყვეტილება სანიტარიული მედამხედველობის სამსახურმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და საქალაქო სამსახურებთან შეთანხმებით მიიღო.

ორი დღის განმავლობაში ცაბაძის, თევდორე მდვდლისა და აბასთუმის ქუჩები გენერალურად დასუფთავდება, მოირეცხება, ცენტრალური სუპერმარკეტის დახლები მდინარეების საწინააღმდეგო სისარებით მოიწმადება.

როგორც სანიტარიული სამსახურში აცხადებენ, წლებულს „დეზერტირების“ ბაზრობის მიმდებარე გერიგორიამე გარე ვაჭრობამ მასშტაბური ხასიათი მიიღო, რამაც ერთიორად გაზარდა ანგისანიტარიუმი. ამასთან დაკავშირებით საქალაქო

სამსახურებს ქალაქის ვიცე-პრემიერთან კახა შენგელიასთან ერთად, ვითარების გამოსასწორებლად, ქმედებითი ღონისძიებების გატარება მომავალშიც აქვს დაგეგმილი. გარდა ამისა, გამკაცრდება საცხოვრებელი კორპუსების ბუნკერების შემოწმებაც. რამდენიმე წერტილში დაუსუფთავებელი ბუნკერების აღმოჩენასთან დაკავშირებით სანიტარიულმა სამსახურმა რაიონულ სპეციალურ ექსპედიციებს უკვე მიმართა.

ივანე პრემსი.



თვალსაზიარი

(ამრეშილი გემრედიანი)

საერთოდ, პრეზიდენტ ბუშის საგანგებო დესპანის ჩამოსვლა ყველაზე თავისებურად გაიგო.

სახელისუფლებო ნაწილმა, სრულიად მართებულად, ეს ვიზიტი აღიქვა, როგორც თეთრი სახლის აღმინისტრაციის სურვილი, კეთილი ნება, დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას, მის ხელმძღვანელობას, შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლაში.

ოპოზიციამ კი ამას მიიჩნევს ვაშინგტონის მიერ თბილისისთვის თითის დაქნევად, „უკანასკნელ გაფრთხილებად“. თურმე საქართველო „შუა საუკუნეების დესპოტური სახელისუფლო რეჟიმით ცხოვრობს და ამერიკისთვის ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობა, უბრალოდ, სამარცხენია“.

შეიძლება პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სიძულვილი თავისი გიბრმავადეს, მაგრამ ეგზომ? დიას, საქართველო დაგაკი, მშინერი, დარბეული, გაბარცული ქვეყანაა, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ, მაგრამ იმის სათქმელად, რომ იგი „შუა საუკუნეების დესპოტური სახელმწიფოს რეჟიმით ცხოვრობს“, ენა არ უნდა მოგიბრუნდეს!

რაც შეეხება იმას, რომ „ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობა ამერიკისთვის, უბრალოდ, სამარცხენია“,

ეს არსებული რეალობის საგანგებოდ დაუნახაობაა. არ არის საჭირო ამერიკის შეერთებული შტატების იდეალიზება! განა ყველამ არ ვიცით, რომ „მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დროში მოფრიალდა“ ამერიკას ისეთ რეჟიმებთან პქონია მეგობრული ურთიერთობა, მართლაც „შუა საუკუნეების დესპოტურ სახელ-

მალე მავრები წავლენ...

მწიფოს“ რომ არ მოლანდებია. სხვათა შორის, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ აშშ პრეზიდენტი ეიმენჰაუერი ამერიკელთა მარიონეტის - ნიკარაგუას დიქტატორის ანასტასიოს პირველის შესახებ ამბობდა, „მე მას ძალზე კარგად ვიცნობ. იგი ნამდვილი ძაღლის შვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლის შვილია“.

ისე რომ, იდეალიზება საჭირო არ არის. ყველა სახელმწიფო თავისი ინტერესებით ცხოვრობს და თავისი ინტერესების შესაბამისად ირჯება სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში და არა ვინმეს ლამაზი თვალუბრების ვინმეს „ლამაზი თვალუბრების“ იგი რაიმეს მაშინ გააკეთებს, თუ ეს „ლამაზი თვალუბრა“ მას ხელს აძლევს.

„დემოკრატიის დროში ფრიალი“ არაფერ შუაშია.

დღეს დიდი ლაპარაკია იმაზე, რომ ოპოზიციამ ვერ გაერთიანდა, ერთიანი ბლოკით ვერ გამოდის არჩევნებზე.

ეს უბრალო საკითხი არ არის. ოპოზიციამ ვერ გაერთიანდება, იმდენად განსხვავებულია იგი თავისი შინაარსითა და ამოცანებით.

დინარე, მათ შეიძლება ერთმანეთისკენ ნაბიჯებიც გადადგან, როგორც თბილისის საკრებულოში თავმჯდომარის არჩევის დროს მოხდა, როცა ლეიბორისტებმა მიხეილ სააკაშვილს დაუჭირეს მხარი.

ოპოზიციის გაერთიანებას ერთი ლიდერი სჭირდება, ისეთი კაცი, რომელიც ყველასთვის მისაღებია, ანუ ნაკლებად „თვალში ეკალი“ იქნება. ასეთ ლიდერად დღეს ბევრი ნინო ბურჯანაძეს მოიაზრებს. მაგრამ მას საკუთარი პოლიტიკური დასაყრდენი, პოლიტიკური ძალა, ანუ პარტია არ ჰყავს.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ მის ლიდერობას არ აღიარებენ, იმიტომ, რომ იგი არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ოპოზიციისთვისაც „თვალში ეკალია“.

და ცალ-ცალკე მიდიან საარჩევნო ყუთებისკენ. მაგრამ რამდენი მათგანი, დღეს რომ ერთობ დაიმედებულია, ვერ გადალახავს 7-პროცენტის ბარიერს?!

მაგრამ იქნებ სწორედ ეს „ბუნებრივი შეჩვევა“, როცა თავიდან მოცილებენ იმ პარტიებსა და ლიდერებს, რომლებმაც თავიანთი გასაკეთებელი გააკეთეს და დროა „მაგრივით“ წაიღონ, აძლევს ხელს ჩვენი ოპოზიციის ელიტას?

ალექსი ასლანიშვილი.

ის ჩვენი ისტორიაა

XX საუკუნის 40-50-იან წლებში განხორციელებული რეპრესიებიდან უმძიმესი იყო მოსახლეობის იძულებითი გასახლება. იგი ატარებდა გლობალურ და ამავე დროს მასობრივ ხასიათს სსრ კავშირის მასშტაბით და არა მარტო ეროვნული ნიშნით ჩატარდა. მოსახლეობის იძულებითი გასახლება ყაზახეთში, შუა აზიის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რეგიონებში სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ განახორციელა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, გასახლებულთა შორიდან ამის რეალური საფუძველი არ არსებობდა. იგი განახორციელეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებმა. ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეცგასახლების განყოფილება, სადაც დეკლარირებული მიზნების დეპარტამენტის ინსტრუქციები, წესები და მეთოდები. მოსახლეობის იძულებითი გასახლება ჩატარდა აუტონულ პრობლემა და ბარბაროსულ-ველური მეთოდებით, რის შედეგად უღანაშაულო ადამიანებმა უდიდესი განჯვა-წვალებები გადაიტანეს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა.

მოსახლეობის იძულებითი გასახლება დაიწყო სსრ კავშირში ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ. 1941 წელს გააუქმეს გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკა ვოლგისპირეთში და იმავე წლის შემოდგომისთვის ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთსა და შორეულ აღმოსავლეთის მხარეში გასახლეს 446 ათასი გერმანელი, ხოლო 1942 წლის დამლევს მათი რიცხვი 1,2 მილიონამდე გაიზარდა. 1943-1944 წლებში ჩრდილო კავკასიიდან გასახლეს ყირაზიელები, ყალმუხები, ჩეჩენები, ინგუშები, ბალყარელები, ყაბარდოელები, ხოლო ყირიმიდან – თათრები. საქართველოდან გერმანელების იძულებითი გასახლების შესახებ სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დადგენილება მიიღო 1941 წლის 8 თებერვლის და იგი ჩატარდა 15 დღეში – 15-დან 30 თებერვლამდე. მოსახლეობის დეპორტაციისას უგულვლოყოფი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, იგი ჩატარდა სახელმწიფო ორგანოების დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, პირადი მითითებების საფუძველზე და ა. შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოსახლეობის მუდმივი გასახლების შესახებ არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. იქ ლაპარაკია დროებითი გასახლების შესახებ. კონკრეტულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლში ნათქვამია: საქართველოდან ადამიანების გაძევება, ან იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვა ხდება დროებითი 1-დან 3-მდე, ანდა 3-დან 10 წლამდე ვადით სასამართლოს განაჩენით. მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის ამ მოთხოვნას ყურადღებას არაღივებ აქვეყნდა. იგი დავიწყებას ეძლეოდა. 1941 წელს საქართველოდან ყაზახეთში გასახლეს 19186 გერმანელი, ანუ 5226 ოჯახი.

XX საუკუნის 40-იან წლებში მოსახლეობის იძულებითი აყრა-გასახლებას პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. ეს ავებდით პროცესი მიმდინარეობდა 1942, 1943, 1944, 1945, 1947, 1948-1949, 1950-1951 და 1952 წლებში. 1942 წელს, მაგალითად, მოქალაქეთა ერთ ნაწილს გაუხსნეს 20-30-იანი წლების გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა. ამ მოტივით ისინი 1942 წელს დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გასახლეს, ხოლო 1943 წელს ასეთივე ბედი ერგოთ მათი ოჯახების მთლიან შემადგენლობას. იმავე 1943 წელს მშობლიური კერებიდან აპყარეს და ციმბირსა და შორეული აღმოსავლეთის

მხარეში გასახლეს ის ოჯახები, რომელთა წევრებმა თავი აარიდეს წითელ არმიამი სამსახურს.

1944 წლის გასახლება ძირითადად მოხდა ეროვნული ნიშნის მიხედვით. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის დადგენილების საფუძველზე საქართველოდან გასახლეს თურქები, ქურთები, პეშინები და სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობდნენ სსრ კავშირ-თურქეთის საზღვრისპირა რაიონებში. გასახლებას საფუძველად დაედო მათი პოლიტიკურად არასაიმედოება, თურქებთან ეროვნული კუთვნილება და სულიერი ნათესაობა.

თურქებს, ქურთებსა და პეშინებს ბრალად ედებოდათ ჯაშუშობა თურქეთის სასარგებლოდ და სსრ კავშირის წინააღმდეგ ძირგამომხრელი საქმიანობა. ეს დაუსაბუთებელი ბრალდება იყო, რაც ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა მოგვიანებით. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურ-

ნული კუთვნილება. საქმე ის არის, რომ თურქებზე გამოცხადებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველები იყვნენ. ოსმალეთისა და ციმბირის ბატონობის პერიოდში საგრძნობლად შეირყა მათი ეროვნული ცნობიერება. ამის გამო იყო, რომ ქართველების ნაწილი ეროვნული კუთვნილების მიხედვით თურქებზე აღიარებდა თავს.

დეპორტირების შემდეგ მთავრობის ორგანოებში დიდძალი თხოვნა-საჩივრები შედიოდა, სადაც ისინი გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ თურქებზე შეარყებულ მოსახლეობას არავითარი კავშირი არ აქვთ თურქ ეროვნებასთან. ეს საკითხი მთავრობის შესაბამის ორგანოებს და მეცნიერებსაც არ ჰქონდათ სათანადოდ გარკვეული. დეპორტირებულები თავიანთ განცხადებებში აღნიშნავდნენ, რომ თურქებზე იწოდებოდნენ 1936 წლამდე, ამის შემდეგ ამერბაიჯანელებს აკუთვნებდნენ, ხოლო გასახლებისას შეარყებულნი იყვნენ ისევ თურქებად.

მისია მრავალ ღონისძიებას ითვალისწინებდა.

მიუხედავად ამისა, 1944 წელს მოულოდნელად აჭარბდნენ, როგორც საქართველოს დანარჩენი რაიონებიდან, შუა აზიაში გასახლეს თურქები, ქურთები და პეშინები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1964 წელს შედგენილი ცნობის მიხედვით მათი საერთო რაოდენობა 1764 ოჯახს შეადგენდა: თურქი – 668 ოჯახი, ქურთი – 792, პეშინი – 304 ოჯახი.

1944 წელს აჭარბდნენ დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ხელეჩაურის რაიონიდან (ყოფილი ბათუმის) იყო. ისინი კომპაქტურად სახლობდნენ კახაბრის დაბლობსა და მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირის მდებარე სოფლებში. 1944 წელს სოფელი გონიოდან გასახლეს 59 კომლი, ახალსოფლიდან – 9, მეჯინისწყლიდან – 117, კახაბრიდან – 138, ჭარნალიდან – 63, თხილნარიდან – 38, მახლობან – 120, მახინჯაურიდან – 47, შარაბიძეებსა და ხელეჩაურიდან – 31, ახალმენიდან – 26, წინსვლიდან – 17, ფერიდან – 15, სალიბაურიდან – 14, ჯოჯოლიდან – 13 კომლი და სხვა.

გასახლებულთა შორის იყვნენ ქართველებიც. თუმცა, მათი გასახლება მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული არ ყოფილა. მაგალითად, 1944 წელს სოფელ გონიოდან, ურხიდან და ყოროლისთაიდან გასახლეს 5 ქართველი მოქალაქე.

ხულოს რაიონის სოფელ ქუთაურიდან ყირგიზეთის სსრ ჯამბულის რაიონში გასახლეს 2 ქართველი და ა. შ. იმავე 1944 წელს აჭარიდან გასახლეს ლამების 60 კომლი, რომლებიც ეროვნული კუთვნილების მიხედვით ქართველები არიან. მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, თურქებს მიაკუთვნეს. ამის შესახებ მოსკოვში ლ. ბერიას სახელზე 1945 წლის 25 მარტს სპეციალური წერილი გააგზავნა საზოგადო მოღვაწემ მ. ვანილიძემ, რომელიც სახალხო კომისარს სპეცგასახლებიდან ლამების დაბრუნებას თხოვდა. მართლაც, ამის შემდეგ ყველა ლამი სამშობლოში დაბრუნდა. სხვათა შორის, ასეთივე ბედი ერგოთ ყირიში მცხოვრებ მცირე ეროვნების წარმომადგენლებს ყირაიბებს, რომლებიც აქედან გასახლეს მათთვის მიაყოლეს. ლ. ბერიას განკარგულებით მათ აღარ შეხებიათ დეპორტაცია.

თურქების, ქურთებისა და პეშინების გასახლებისთანავე საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო ღონისძიებები განახორციელა მოსახლეობისაგან დაცარიელებული გერციგორების შესავსებად. ამ სოფლებში მცირეწიანი რაიონებიდან ჩამოსახლეს ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეს პროგრესული ღონისძიება იყო.

უცხოეთში გასახლება სახელმწიფო სამღვრისპირა სოფლებიდან სხვა ქვეყნებში განხორციელდა (აშშ, თურქეთი და სხვა). საქართველოში მათი დეპორტირებისას, როგორც შემოთ ითქვა, მიუღებელი იყო პოლიციურ-ბარბაროსული მეთოდები, ახალ საცხოვრებელ ადგილებში სპეცდარცხვამე აყვანა, პოლიციური მუდამხედველობის ქვეშ მოქცევა, მათი უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და კოლმეურნეობებზე გადაცემა, ფაქტობრივად, განიავება. ხელისუფლების მიერ საქვეყანოს გაუქმების შემდეგ დეპორტირებულებმა აჭარაში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს, რამდენიმე მოსახლემ არაფეხგაღებულად კედევად დაბრუნდა. მაგრამ აქ მათი მიღების საშუალება აღარ არსებობდა.

ოთარ თურმანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ბათუმი.
(ბაზრამუშა მძნება).

შავბნელი 40-იანი და 50-იანი წლები

აჭარის მამალრიტმა

ქებს, ქურთებსა და პეშინებს აქვთ თავიანთი ისტორიული სამშობლო და მათთვის მისაღები და სასარგებლოც იყო საკუთარ ერებთან ერთად ცხოვრება. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიუღებელი იყო გასახლების ბარბაროსული წესები და მეთოდები.

ინსტრუქციის თანახმად, რომელიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 1944 წლის 20 სექტემბერს დაამტკიცა, თურქების, ქურთებისა და პეშინების გასახლებისას ვინმეს მართ შედგებები არ ერცელდებოდა. ასახლებდნენ უკლებლივ ყველას, მათ შორის კომუნისტებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და ორდენოსნებს. გამონაკლისი ის იყო, რომ ამ ეთნიკური ჯგუფების ქალს იმ შემთხვევაში არ ასახლებდნენ, თუ ის გათხოვილი იყო სხვა ეროვნებაზე და ეს უკანასკნელი გადასახლებას არ ექვემდებარებოდა. თურქების, ქურთების, პეშინების და სხვა ეთნიკური ჯგუფების გასახლებისათვის მობილიზებული იყო საჭირო რაოდენობის სამხედრო და სპეცსამსახურების ნაწილები, გრანაპორები. დეპორტირებულ მოსახლეობას ატანდნენ მცირე რაოდენობის სურსათ-საბოვარებს და პირადი მოხმარების საგნებს, მთლიანად 500 კგ-მდე. პირუტყვი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება აღრიცხვის შემდეგ გადაეცემოდა კოლმეურნეობებსა და ადგილობრივ საბჭოებს.

1944 წელს საქართველოდან შუა აზიაში, ძირითადად უზბეკეთში გასახლეს 19818 ოჯახი. სპეციალური გასახლება მოხდა საქართველოს 27 რაიონიდან და ქ. თბილისიდან. გასახლებულია ძირითადი კონგინგენი იყო სამცხე-ჯავახეთიდან. კონკრეტულად, აღიგნის რაიონიდან გასახლეს 5921 ოჯახი, ახალქალაქის – 5597, ასპინძის – 4532, ახალქალაქის – 769, ხოლო ბოგდანოვკის (ამჟამად ნინოწმინდა) რაიონიდან – 176 ოჯახი. სულ სამცხე-ჯავახეთიდან გასახლეს 16995 ოჯახი, რაც დეპორტირებულთა საერთო რიცხვის დაახლოებით 86 პროცენტს შეადგენდა.

გასახლებისას სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 208116 სული, მათ შორის, ქართველი იყო 19734, სომეხი – 88047, თურქი – 87168, ქურთი – 3830, რუსი – 7929, უკრაინელი – 553, ბერძენი – 141, სხვა ეთნიკური ჯგუფისა – 764 სული. როგორც ვხედავთ, დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქებზე მოდიოდა. მაგრამ მაშინ გაურკვეველი დარჩა მათი ნამდვილი ეროვნული კუთვნილება.

სამწუხაროდ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა ნაწილი ხელს უწყობდა მათ გათათრებასა და გათურქებას. სხვათა შორის, მესხების კოლექტიურ განცხადებას, რომელიც შევიდა საქართველოს განათლების კომისარიატში და მოითხოვდნენ ქართული სკოლების გახსნას, ადევს მართამ ორასხლავილის რეზოლუცია, თქვენ თათრები ხართ და ამერბაიჯანულად უნდა ისწავლოთ. საბჭოთა ხელისუფლებამ სამცხე-ჯავახეთში აგზავნიდა ამერბაიჯანულ პარტიულ მუშაკებს და მასწავლებლებს... მოვლესაც კი, ვიდრე მთლიანად არ გაათურქეს მამამლიანი მოსახლეობა და 1944 წელს თავი არ უკრეს შუა აზიაში.

საშკაპ განხილვას მოითხოვს აჭარიდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის საკითხი. სამცხე-ჯავახეთისაგან განსხვავებით, ამ რეგიონში ეროვნული კუთვნილების მიხედვით საჭვეო და გაორებული მოსახლეობა არ შეიმჩნეოდა. ყველა მათგანის ეროვნული კუთვნილება გარკვეული და დამუკტებული იყო. ამ თემაზე აჭარის დეპორტირებული მოსახლეობის მიმართ სხვადასხვა თითქმის არ ყოფილა. გასახლების წესები და მეთოდები იგივე იყო, რაც მთლიანად საქართველოში და საერთოდ სსრ კავშირში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში თურქები, ქურთები და პეშინები ოსმალთა ბატონობის პერიოდში დასახლდნენ. ისინი კომპაქტურად სახლობდნენ ბათუმისა (ამჟამად ხელეჩაური) და ქობულეთის რაიონებში. ქალაქად და აჭარის დანარჩენ რაიონებში თურქები, ქურთები და პეშინები სპონტანურად სახლობდნენ. მხოლოდ მოგვიანდელ სოფლებში იყო თითო-ოროლა ოჯახი. თურქებისაგან განსხვავებით ქურთები არ ითვლებოდნენ სოფლის სამოგადობის წევრებად და ისინი პეშინებთან ერთად ძირითადდ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ მათი მთავარი საქმიანობა მესაქონლეობა იყო.

აჭარის გასახლების შემდეგ ხელისუფლება ქურთებისა და პეშინების ბინადრ ცხოვრებაზე გადავიანს შეეცადა. საამისოდ მათ ნაწილს მიწის ნაკვეთებიც გამოუყვეს სახლების ასაგებად. 1939 წელს საქართველოს კ (ბ) საოლქო კომიტეტმა და ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატმა საბჭო სპეციალური კომისია შექმნა ქურთებისა და პეშინების საყოფაცხოვრებო პრობლემის გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით კო-

მსოფლიო შტრიხებში რეკორდსმენი ყლვაშები


ულმამში, ალბათ გახსოვთ, ერთ დროს კაცობის, სინდის-ნამუსის დამადასტურებელი იყო, ახლა კი ის მოგზაოგ შემოსავლის წყაროდ გაუხდა. აი, თუნდაც 62 წლის თურქი მუჰამედ რაშიდი. მას 10 წელია, უღვაში არ გაუპარსავს და ახლა მისი სიგრძე 1,6 მეტრია.

უღვაშები ახლა მისთვის მარტო შემოსავლის წყარო როდია, მათი მეშვეობით მან მთელი მსოფლიო შემოიარა. ახლა იგი ბეირუთში ჩავიდა. რათა ფული და-აგროვოს, ის ყველას სთავაზობს მასთან სურათის გადაღებას ძალზე მომიერ ფასად – 5 დოლარად. მუჰამედს უღვაშები დაწული და სპეციალური სითხით აქვს დამუშავებული, რათა არ ჩამოვარდეს და თითქმის პორციონტული მდგომარეობა უჭიროს, მათ ქუღზე იმარტებს.

ჯალათის ადვილი ვაკანცყურია

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ყველგან როდია გაუქმებული სიკვდილით დასჯა. მაგალითად, იუგოს შტატში გრადიციული ელექტრონული სკამისა და გამის კამერის გარდა, უმაღლესი სასჯელისთვის შემოღებულია „ბლგერბანკიული დასჯა“ – დასჯრება.

რიგუალის თანახმად, რაც ამ შტატშია დაბკვიდრებული, განა-



მენი უნდა ადასრულოს ოთხმა ჯალათმა. მათი ძებნა მას შემდეგ დაიწყო, როცა შტატის მოსამართლეებმა ორ ბოროტმოქმედს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მათ კი დახვრება აუკითხნენ. მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, ჯერჯერობით ოთხიდან მხოლოდ ორი ვაკანსია შეივსო.

აჯიპყრი ელვა

სწორედ რომ მესხს დაეცმას ჰგავს გაივანის წენ კუნის სახელობის უნივერსიტეტის სწავლულთა აღმოჩენა. მათ სან ცონ სის ხელმძღვანელობით ელვის ახალი სახეობა აღმოაჩინეს. მათ მივი მიგნებულა ელვა დრუბლეიდან შემოდან ქვემოთ კი არ ურცვამს, არამედ პირიქით, დრუბლეიდან შემოთ, აგმოსფეროსა და იონოსფეროში. ელვას დაგოგვილი ფორმა აქვს და გამოირჩევა განსაკუთრებული მომებით: ის სიმადლეში 95 კილომეტრამდე აღწევს, ხოლო თავად მისი სიგრძე 80 კილომეტრამდეა. თუმც ასეთი ელვის აღმოჩენა შეუარაღებელი თვალთ იოლი როდია, მისი გაელვების დრო წამზე ნაკლებია, თანაც ძალზე დაბალი სისხირის რადიოგამოსხივება ახლავს.

ექსპერტების აზრით, უხვევლო ელვით გამოწვეულ რადიოტალღებს შეუძლია კავშირგაბმულობის სისტემისათვის სერიოზული დაბრკოლების შექმნა.

ვიზონათ ღირსეულ მიოცასაუკუნელს

მზიანი გულის უკვდავება

სიბლი - პირთენული, სიბლი - მწერლოური



ჩამოწმარე კითხვები და აუგანე-ჩვენი რედაქცია - გაზეთ „ეკრანის ამბებისა“ - პირველ სართულზე, იქვე, ლიფტთან ორ ოთახში იყო შეუქუელი...

ჩვენს შემთხვევაში „ნიანგი“ განთავსებულიყო. უმარამხარი გირაყით გამოდიოდა „ნიანგი“ და აბაში, რა თქმა უნდა, მისი მთავარი რედაქტორის, უკვე საქვეყნოდ განთქმული მწერლის ნოდარ დუმბაძის „ლომის წილი“ იყო.

საახალწლო ნომერს ვამზადებდით და, გაზეთი რომ სამეიომ გაშალულიყო, დიმილი და სადღესასწაულო ელფერი არ დაჰკლებოდა, ცნობილ მწერლებს მივმართეთ კითხვებით და მათ შორის ნოდარ დუმბაძეც ავირჩიეთ.

აუგანე კითხვები. „ლომმა“ წარმადგინა, ჩემმა მაურ ბოლქვაძემ - „ნიანგის“ პასუხისმგებელმა მდივანმა, უნივერსიტეტელმა უფროსმა მეგობარმა.

ესაო, ჩვენი ვილია არისო, „ეკრანის ამბების“ მუშაობსო, ლექსებს წერს და თან მხატვრულად კითხულობსო... ინტერვიუ უნდა შენგანო...

წამოღდა ნოდარი, ერთიანად გაბარულმა ხელი ძველი ნაცნობივით ჩამომართვა:

- ვიცო, მაურ, ვიცნობ ვილენს,

ვაქა ჰანიშელი ხშირად ახსენებს... შენ ის გირჩევიან, კარადა გამოალო და კონიაკი დაღვა აგერ... დავლოცოთ ჩვენი პირისპირ შეხვედრა... აბა, მანახე ერთი, რა კითხვები გაქვს...

გადავეცი თაბახის ფურცელი, ხვალ ქალბატონ სონიასთან (მდივან-მემანქანისთან) მიდი, პასუხაცემული დაგხვდება კითხვები და გამართვიო.

მერე ჰქიპც მივეჯახუნეთ, მე გაფთამამდი და მისი სტუდენტობისდროინდელი ლექსი ვთქვი შეპირად: „შენ თბილისი კი არაა, ჩემო კარგო, ეგ მაკვირებს, ნაკვრის თვალი რად არ გქვია“...

აი, 36 წლისწინანდელი ის კითხვა-პასუხი, გაზეთ „ეკრანის ამბების“ საახალწლო ნომერში რომ დაიბეჭდა:

- როდის მიდის მწერალი ფილმის სანახავად?

- როდესაც სცენარის დაწერას აპირებს ან სცენარი მისია.

- რომელი კინომსახიობი მოგწონთ?

- დოლო აბაშიძე.

- თქვენს რომელ მეგობარ მწერალს აქვს მადრეკილება კინომსახიობობისკენ და რატომ?

- მერაბ ელიაშვილი. ხასიათით ისევე ბავშვია და კინოშიც მეტი თამაშის საშუალება აქვს.

- რომელი ნაწარმოებია ეკრანიზაციას ისურვებდით?

- „მზიანი ღამისას“.

- ემთხვევა თუ არა თქვენი აზრი ფილმის შესახებ თქვენი მეუღლის აზრს?

- ხანდახან.

- რომელმა ფილმმა იმოქმედა დადებითად ან უარყოფითად თქვენს შეილებაზე?

- დადებითად „ცისკარამ“, უარყოფითად - „ტკბილი ცხოვრება“.

- რომელი ფილმის ნახვის დროს დაგიგოვებიათ ღარბაში სეანსის დამთავრებამდე?

- ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, როდესაც სხვის ადგილზე ვიჯექი ან, საერთოდ, უბილეთოდ ვიყავი. რა თქმა უნდა, ძალით მატოვებინებდნენ, ნებაყოფლობით ეს არასდროს ჩამიდენია.

- რომელი ფილმი გიბრძოდა და ინახავთ თქვენში?

- მურიკელაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“.

... ხშირად ვხვდებოდით, - ხან „მარია ვოსტოკას“ შენობის შესასვლელთან, ხან ლიფტთან, ხან „ნიანგის“ რედაქციაში, როგორც - ჩვენი თანაც ჩამოდიოდა...

უშუალოდ, გულწრფელობა, თავმდაბლობა დაპყვებოდა, თუმცა ის უკვე შემოქმედებითი მწვერვალისკენ წასულიყო, მისი მურიკელა, მისი სოსოია და სხვები და სხვები უკვე სცენიდან და ეკრანიდან აგყვებოდნენ მილიონობით მაყურებელს... მათი მხატვარი კი იგივე დარჩენილიყო - ალალმართალი დიმილი, სწორპოვარი იუმორით, მეგობრული საღამო-ქალბაში...

არ შეეცლია იგი მამინაც, მთლად „დიდი კაცი“ რომ გახდა, საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა რომ ჩააბარეს...

უკვე რესპუბლიკის უმთავრეს გაზეთში ვმუშაობ: „ბატონო ნოდარ, მოსკოვის დიდი თეატრი ჩამოიღეს მეგ და, ერთი-ორი სიგყვით მიესალმეთ რუს მეგობრებს“... „ე ბიჭო,

ვილენა, მიშველე რამე, გაწამაწიაში ვარ, დაწერე შენ თვითონ მისალმება (დიდებული თეატრია) და მოაწერე ჩემი გვარი, გენლობი“...

ასე - რამდენჯერ... ჰუმორიკ მწერალს დრო კი არ მიჰკარგავს, პირიქით - ახალი კუთხით წარმოუჩენს თაობებს. რაოდენ სასიამოვნოა, რომ ნოდარ დუმბაძის განუყოფელი პროზა დღევანდელ ახალგაზრდობასაც აწვევს სულიერ საზრდოს.

დღეს კი იგი 75 წლისა იქნებოდა - უბრალო, დიმილიან „გურულ ბიჭად“ დარჩენილი დიდი ქართველი მწერალი...

მის ხალას ნიჭსა და უნარს, უბრალოებასა და კაცურ-კაცობას სიცოცხლეშივე აღიარებდნენ მისი უახლოესი ქართველი მეგობრები - მწერლები, კრიტიკოსები... მას სიყვარულსა და პატივისცემას არ აკლებდნენ უკიდურეს ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები მხატვრული სიგყვის ოსტატები, მას ლექსებს უძღვნიდნენ ცნობილი პოეტები...

ერთ დღეს ეს ყოველივე შეკრიბა მწერლის ძვირფასმა მეუღლემ, ქალბატონმა ნანული დუმბაძემ და გამოსცა წიგნი სათაურით „მზიანი გულის მწერალი“.

წიგნი შედარებითაა გაცოცხლებული ნოდარ დუმბაძის ძვირფასი სახე. პოდა, ჩვენი გაზეთის რედაქციაში სწორედ ამ წიგნიდან შეარჩია რამდენიმე თვალსაჩინო მწერლის ნაამრევი დიდ ქართველ მეოცესაუკუნეულზე, რომლის შემოქმედებას ოცდამეერთე საუკუნეც ვერას დააკლებს.

ვილინ ბარდალიევილი.

1985 წლის 12 ივლისი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ყველანი სიბჭილის ფილმები ბარტი

ღრმ უნდა განვლო, დღე უნდა დავიწყებას მივცეს რომ მოიგონო, მე რა მოვიგონო? ნოდარ დუმბაძე გუშინ წაიდა ჩვენგან, აგერ, ახლახანს. ასე მგონია, რასაც ვიგყვი, მოწმედ დამიდგება და იტყვის: „კი, ძამა, მასე იყო“. ასე, რომ მიჭირს, მიჭირს ცოცხალ კაცზე მოგონებების წერა, მაგრამ ისევე ჩემს თავს ვაბრალავ: - ჰირისუფალი ასე ფიქრობს, ვაითუ ყველაფერი გადაავიწყდეთ, დრო აღარ დარჩეთ, თავი ვაღარ მოაბან, წიგნიც ვერ გამოსცენ. ადამიანები ხომ ძალე ივიწყებენ გარდაცვლილებს. ადამიანებს ხომ თავი უკვდავი ჰგონიათ, ის კი არ იყიან, ყველანი რომ

იმ დალოცვილი დედის, სიკვდილის შვილები ვართ...

ამ თოთხმეტი წლის წინათ, და-მიძახეს და მიტხრეს, საბუთები გაამზადე იუგოსლავიაში წასასვლელად, დიდად გავიხარე, თოთხმეტი წლის წინათ იუგოსლავიაში წასვლა რამეს ნიშნავდა ახალგაზრდა კაცისთვის. ახალგაზრდებს უფრო უნგრეთსა და პოლონეთში უშვებდნენ. მეც ავდექი და გავამზადე საბუთები. დაინიშნა წასვლის დღე...

ხუთი დღის შემდეგ რომ მოსკოვს უნდა გაფრინდე იუგოსლავიაში წასასვლელად, დღეს გავიფიქ, ნოდარს ინფარქტი დამართნია. გულს შემო-

მეყარა, გავეჩნდი ბატონ ნოდარ ყიფშიძესთან, კონსტიტუციის ქუჩაზე (მამინ იქ იყო საავადმყოფო), ველაპარაკე ბატონ ექიმს, რა იქნება, როგორ იქნება-მეთქი და იმანაც ჯიუტად მიპასუხა: ჯერ ვერაფერს ვეცყვი, საქმე სერიოზულია, ინფარქტი ბოლომდე კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ვერც გადაარჩენამე ასე უკვე ვერაფერს ვეცყვი, ამას სულ ცოტა 7-8 დღე მაინც უნდა, რომ გამოძირეს და მოგეცეს ორგანიზმმა ბრძოლის საშუალება.

წამოვედი დაღონებული, ვიფიქრე გზაზე და გზაზევე გადავწყვიტე, ჩემი იუგოსლავიაში წასვლა არ იქნებოდა მშობა და კაიკაცობა. დემრთმა ნუ ქნას, მაგრამ ნოდარს რომ რამე დამართოს და მე დროსაგარებლად ვიყო, მთელი სიცოცხლე უნდა გამიმწარდეს, უნდა დაეჩრქე, ვთქვი და რაღა თქმა უნდა, დაერჩი.

მივდიოდით ყოველდღე, ხანდახან, დღეში სამჯერ, უკეთესობა არ ემჩნეოდა.

მეშვიდე დღეს, მართლაც, მოიკეთა. მე თავთან ვეჯექი, უკვე გამოერკვა, გონს მოვიდა და გაოცებულმა და თვალბინებულმა მიტხრა: ჯანსუღა, ბიჭო, მე შენ წასული მეგონე და აქანა ხარ?!

მე, გახარებულმა და ამავე დროს გაბრალებულმა, ვუპასუხე: ნოდარა, მეც წასული მეგონე, მარა აქა ხართქვა. გაიღიმა, ისე გაიღიმა, მივხვდი, რომ გადარჩა.

ჩვენი ყოველთვის ერთად ვიყავით, ყოველდღე, ყველგან, თქვენ წარმოიდგინეთ, შეხვედრებსაც, ხშირად, ორ-

თავს ერთად გვიწყობდნენ, წვეულებებზე ერთად გვეპატიებოდნენ. ერთ სუფრაზე ერთად გვაღვებდნენ და უკვებ ნოდარმა გადმომილაპარაკა: ამგენს ჩვენ ლომონოსოვი და ლავუაშიევი ვგონივართო.

* * *

ნოდარ დუმბაძემ მამინ „ნიანგის“ რედაქტორი იყო, საკუთარი მანქანა ჰყავდა და საჭესთანაც თვითონ იჯდა. მანქანაში ვისხვდი ნოდარი, მე და მაურ ბოლქვაძე. ერთმა ინსპექტორმა გავაჩერა, ნოდარი არ გადმოსულა მანქანიდან, არადა, ინსპექტორი ნოდართან არ მივიდა, ასე ვიდექით კარგა ხანს, მერე ნოდარმა გასძახა, ძამა, ან შენ მოდი და ფული წაიღე, ან მე მოვალ და ფული მომიცეო.

* * *

ნოდარ დუმბაძემ დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის რაიონიდან, ორდილიდან წამოაყენეს. მიხოვა, ე ბიჭო, კაცს არ ვიცნობ ლეჩხუმში, შენი მხარეა, წამომყვი და სიგყვა მიიხარო, მხარი დამიჭირეო. წავედით, გაიხარეს ლეჩხუმელებმა, გადაყვენი სტუმარს. სიგყვა მომეცა, შევდექი კათედრაზე და ასე დავიწყე: ლეჩხუმელებო, ჩემებურებო, სადმე რომ სამართალი იყოს, თქვენი დეპუტატი მე უნდა ვიყო, მაგრამ ცეკაში ლეჩხუმე და ლანჩხუთი აერიათ ერთმანეთში-მეთქი. აგყდა სიცილი, ხარხარა, ბოლოს, მოგესხენებათ. პუკალზე შემწვარმა კალმახებმა დაგვასერიოზულეს.

* * *

ლენინშიდანი ხონროს წავედით, თავის მოწონება უნდოდა ნოდარს დედულეთში, იქ დეიდა ეგულეობდა, უფრო სწორედ დედის ბიძაშვილი. მივყავანა ერთ მშვენიერ ოლა-სახლში, ბახგაძეთთან. ჯერ ნოდარი გადავიდა, შევიდა კონიდარით აბიბინებულ ეზოში, ქალი გამოეგება კდემამოსილებითა და იმერული თავებით, შორიდან ისე გამოჩნდა, რომ

რეზო ამაშუკელი

მე გენდობოდი შენს ბავშვურ სიცილს...

ვარ მივეგებე განაწუნულს წაუღეს — უხატნიდა კარებს სიკვდილის შიში. და ცოდვით მაძღარ სულსა და სსუელს უანვევდი გვემას, დარღსა და შიშილს.

მოახლოებულ ხიბურის განცდამ მეც მასწავ რასა მხამგარეული. და გულის კოუზი თანდათან გაცვდა ხან შინაურით, ხან გარეულით...

მე ვარ გიგლოვი, ვარ ვიამარსული, ვარ გადმოფრინე ნოსები ბანებს, და, აბა, უკვე დიდგა ზაფხული და გაურია ზაურანი მწვანეს.

ასეა, როცა მოკვდება კაცი ვეწვდა თავთავის განაწირს უკვლის, დაწვულ ზაფხულს დროადრო აწვიმს, რომ ვეავიღებმა მოითქვან სული!

და მიინდ მინდა გავრდოვს იმის, აწ უკვე სვედით ნაჯური ფინის, რომ ვიწოგავდი შენს ხათის დიმილს, მე ვენდობოდი შენს ბავშვურ სიცილს.

მერე წასვდა, მერე გათავდა რაღაც და სიტყვა გახდა უძღვრი, ანთუბულ ხანთლით დგახარ ზაფხურთან, და ახტვლონის ტემის ჩურჩული.

ეს ვერეს წვალი მარადის იაღის და მარად სვეების ცრემლით მღტობული.

— გილოცავ, მამო, ამ თოთხმეტე იულისს! ეს იუოს ჩემი ხამადლობელი.

1985 წლის 12 ივლისი.



მზიანი მზაუზუნაქოსთან პრთაღ.

იხ. მ-5 გვ.

ვიზონათ ღირსეულ მიოცასაუკუნელს



ნოდარ დუმბაძე...

(მეორე გვერდიდან)

მილიციელმა აათვალიერა, ჩაათვალიერა და უთხრა: „ჩიგალ ვამ „შაკონ ვერნოსტი“, რად პაზნაკო-მიტსა“, წიგნაკი დაუბრუნა, ხელით სალაში აუღო და ქუსლი ქულს მი-არტყა.

* * *

მწერალმა კავშირიდან, პირდაპირ საგურამოში წავედით მე, ნოდარი და გრისგანი, - ნოდარის მძღოლი. ავიკელით მანქანა, ამდენი ერთად არასოდეს გვიხუმრია, ლექსებს ვთხზავდით, უფრო სწორად, „ფუნაგორიებს“ - გაგრძელებით, მე ვიკვლიდი ორ სტრიქონს და ის გააგრძელებდა, შემდეგ ის დაიწყო და მე ვაგრძელებდი. ეს იყო მახვილსიგვარი ვაობის ფიქრული. გრისგანი წყნარი კაცია, მაგრამ ისიც კი გამოვიყვანეთ მღვთმარობიდან, იგულებოდა სიცილით. მივეახლოვდი წინამურს, სწორედ იმ ობელისკს, სადაც ქართველმა ხალხმა სირსხვილი ჭაბა, მივეახლოვდი თუ არა, მე მივსწვდი ნოდარს და თავი ჩავაღუნე, არიქა, დაიძალე, თორემ გესვრიან-მეთქი... მხევეწა მერე, ჯანსუღია შავო, არ მოყვებ ამ ამბავს და ხვალ ათკაციან პურ-მარილს ვეისრულო საგურამოში.

* * *

ქუთაისიდან ჩოხბაგურისაკენ მივდივართ, კარგ ხასიათზე ვართ ბიჭები, მარა ხასიათი რას შევლის საქმეს, მშვიდები ვართ, ნოდარი ჩოხბაგურში, მის სოფელში დუმბაძეებთან ილიკოს ნახვას გვიპირ-



პარკო კალაპოსთან ერთად.

მასთან ჭილიძე

ნახევარ სიცოცხლეს სიკვდილი ობიჯნა

ყველაზე სევდიანი მხევედრა უნდა გავისხენო. ეს იყო 1984 წლის ივლისისა თუ აგვისტოსი. წავესიში ვიყავი. ერთ დღეს ბავშვებს ხათრი ვერ გავუტეხე და კოჯორში წავიყვანე. მალე მოებრუნდით. ებოში რომ შემოვედი, მანქანა დაინახე. ვიყანი, ვისიც იყო; ვიფიქრე, რაღაც საქმეზე კაცი გამოუგზავნიან-მეთქი. რას ვიფიქრებდი, თვითონ თუ იქნებოდა - იმ დროს უკვე ვერ იყო კარგად, ამ სიმალეზე ამოვსვლა არ შეიძლებოდა მისთვის. ჩემდა გასაკვირად, ვხედავ, აივანზე მის ჩვენებთან და საუბრობს. იგი ჩემს ოჯახში ყველაზე ახალისი დალიან ახლოზელი და საყვარელი იყო. ამსიმაღლეზე რამ ამოვიყვანა-მეთქი, უნდა მეთქვა. მგონი ვუთხარი კიდევ, მაგრამ მან დამასწრო. „რამოდენები დამრდილან, ბატონო ვახტანგ...“ ბაღში ხეებზე მიმითითა. უკვე კარგა ხანია, აქ აღარ ყოფილა... „და ესენიც რამოდენები დამრდილან“, - ახლა ჩემს შვილშვილებს მოხვია ხელი. სახლში საუბრე უკვე მოეშალა, დაესხვიდით. ამჟამად გეყოფილა, რომ ძალიან ცუდად იყო. სახეზე ფერი აღარ ედო, სუნთქვა უჭირდა... მაგრამ თვალები, მისი ლამაზი თვალები კვლავ იმ კეთილ ღიმილს ასხივებდა. თავად უჭირდა, და შენ გამშვილებდა ამ ღიმილით, შენ გიადვილებდა სუნთქვას და ცხოვრებას. ხუმრობით მტყუროდა ხოლმე - ალერგიამ რომ შეგაწუხოს, ბატონო ვახტანგ, ან მოდი ჩემთან, ან დამირეკე, რომ ხედავ, ხელად კარგად ხდები. თვითონ კი ხუმრობდა, მაგრამ, საოცარია, ეს მართლა ასე იყო.

* * *

ვიღასამ სცადა ნოდარის გაკრიტიკება, სცადა, ვერ კი შეასრულა. ნოდარმა მაინც მოიწყინა, მოიწყინა და მე გამანდო, ჯანსუღია, ძაბა, რა უნდა იმ კაცს ჩემგან, ხომ არ იცით. ჩვენში დარჩეს და, ნოდარი ბოლო წლებში, როცა ავადმყოფობა მოეძალა, ყველაფერს განიცდიდა და ყველაფერზე ეჭვს გამოთქვამდა. მე შევატყვე, რომ ძალიან ნაწყენი იყო და უმაღ ვუბასხუე: ნოდარა, ახლა შენ შენით თუ შეიჭამ ფხებებს, თვარა ვერაფერ ვერ მოგჭამს-მეთქი. პო, რა გაუხარდა.

ერეკა... მინდა ვიფიქრო, რომ მას ჩემთან ამოსვლა მოუნდა. იგი, რაღაც თქმა უნდა, გრძნობდა მოახლოებულ დასასრულს და დილით რომ გაიღვიძა, იქნებ რაღაც გაახსენდა ჩვენი ურთიერთობიდან, ისეთი რამ, რომ თავისი კეთილი მეგობრის ნახვა მოუნდა... მე მინდა, ასე ვიფიქრო, ასე დავეჯერო...

ძალიან დიდხანს არ დარჩენილა. ყველა გულში ჩავვიკრა - მისეუროდ, ძველებურად და წავიდა. სუფრასთან, როცა მარტო მომიხელთა, მითხრა - არა გულის ასახელებლად, არა სენტიმენტალურად, არა წუწუნით არა სინანულით - უბრალოდ თქვა, ჩვეულებრივ რამეს რომ ეტყვიან კაცს: მე მალე მოვეკვები... ასეთი რამ პირველად გავიგონე მისგან, საუბედუროდ, ამას ყველა ვგრძნობდით, მაგრამ მანვე რომ მითხრა, დავიბენი, რაღაცის თქმა მოვიხლოვ, თავად არ ვიცი, რისი... გამიცინა და გაჩუმდა, ხელზე ხელი დამაძლო.

ამის შემდეგ მალე საავადმყოფოში დაწვა. არ მიყვარს საავადმყოფო. არ ვიცი, ქვეყნობიერად საკუთარ თავს ვიბრალდებ თუ ავადმყოფს, მაგრამ რატომღაც ასე მგონია, ადამიანს არასოდეს არ სიამოვნებს, იქ რომ ნახულობ. იმ დღეს მაინც მივედი. დავაკაკუნე, შევაღე კარი და ერთბაშად შევეცი, რაღაც მოვიბოდიშე და გამობრუნება ვცაღე. კონსილიუმი პქრონდა - რამდენიმე გამორჩენილი ქვიში იყო და ვიღაცას კიდევ ელოდნენ, მგონი მოსკოვიდან ჩამოსულ ქვიშს. ამიგომ შევწუხდი, უდროოდ დროს მოველო-მეთქი. ნოდარს ჩვეულებრივად ეცვა და ლოგინზე იჯდა, რომ დამინახა, ერთბაშად თვალები გაუბრწყინდა და აღარ გამომიშვა, მოლოდინი, დამიძახა, ლოგინიდან წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა,

ხელი ჩამავლო. მე დავიბენი. რაღაცას ვლულულულებდი - თან ბოდიშს ვიხდიდი და თან ექიმებს, რომელთაგან უმეგესობა ჩემი ნაცნობი იყო, ალერგიკალი, მალევე წავალ-მეთქი. ერთმა საკმაოდ მკვახელ მითხრა - თქვენა გგონიათ, პაციენს სცემთ ამით, და აწუხებთ კი. ყველა რომ ასე ცოცხალი ხნით შემოვიდეს...

მაგრამ ნოდარმა აღარ აცალა, ხელი მომიკიდა და თავისი მეგობრულად შესუბუბული ღიმილით ძალიან წამითრია აივანის კარისაკენ. პალატას, ებოს მხარეს, გრძელი აივანი ერტყა, იქ სკამები იდგა, უკვე ჩრდილი იყო და იქ დამსვა.

ახლა კიდევ უფრო ცუდად იყო - სკამზე ძლივს იჯდა, სუნთქვა უჭირდა, ლაპარაკიც... და მაინც მელაპარაკებოდა - მიმიღე, სვენებ-სვენებით, მაგრამ იმ დაუვიწყარი კეთილი და ალერსიანი ღიმილით. რაღაც თქმა უნდა, მსიამოვნებდა, ასე რომ გავხარდა ჩემი ნახვა, რომ თავიდან აღარ მიშორებდა. მაგრამ ექიმები პალატაში დარჩნენ და ცალი თვალით იქითკენ ვიყურებოდი, ვწუხდი, ვეღარ მომეხსენა. ნოდარი ამას გრძნობდა და აქეთ მამშვიდებდა - ყურადღებას ნუ მიაქცევო, არა უშავს, დაიცდიანო, თითქოს გამოუცხრები თქვა ეს, რაღაცნაირი პროტესტი. მერე გავიგე ამის მიზეზი. კაცა ხანი გავიდა ასე, თითქმის ნახევარი საათი, ბოლოს, პალატის ექიმი გამოვიდა და მკაცრად მაგრძნობინა, რომ ჩემი წასვლის დრო დიდი ხანია დადგა. ძლივს დავაღვი თავი ნოდარის ხელში. ნაღველიანად გამომყოფა თვალი. მაშინ არ ვიციდი, რომ ეს უკანასკნელი ნახვა იყო მისი.

პალატიდან რომ გამოვიდი, ნაცნობი ექიმი წამომეწვია და მან ამის-სნა ყველაფერი. თურმე გულის სტიმულიზაციის შესთავაზეს და ნოდარმა კატეგორიულ უარი უთხრა. ეს ნახევარი სიცოცხლე იქნებოდა, ნახევარი სიცოცხლე კი მისთვის არ არსებობდა, სიკვდილი ერჩევნა.

ეს იყო მისი უკანასკნელი მკაცრი გამოცდა, და ამ გამოცდასაც გაუძლო, აქვე გაიმარჯვა.

გიორგი ტოვსტონოვოვი

მშობლიური მიწის სურნელი

